ინფორმაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტუქტურის საკითხთა; იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა; განათლების, კუტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების, ფრაქციების- „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ ; „ხალხის ძალა“ და პარტია „ძლიერი საქართველო - ლელო“ -ს წარმომადგენლის რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

საკრებულოს ყველა კომისიამ საბიუჯეტო ცირკულარის ფარგლებში განიხილა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილი 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი, ასევე მოაწყო საყოველთაო განხილვები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში. კომისიის შეფასებით, 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსალოდნელი შემოსავლები. ასევე კომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული პრიორიტეტები; თუმცა მიუხედავად ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების დადებითად შეფასებისა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ, საკრებულოს სხვადასხვა კომისიების, ფრაქციების და საკრებულოში წარმოდგენილი პარტიების რეკომენდაციების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიას წარმოუდგინა ზოგადი რეკომენდაციები ბიუჯეტის ცალკეული პარამეტრების კორექტირების მიზნით.

საკრებულოს რეკომენდაციების გათვალისწინებით 2026 წლის ბიუჯეტში დამატებით საჭიროა 405 000 ლარი.

წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გათვალისწინებულ რეკომენდაციებს თითოეული კომისიის, ფრაქციის და საკრებულოს წევრი პარტიების მიხედვით.

	რეკომენდაცია	**რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა**
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	
1	ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიზარდოს 100 000 ლარით.	**გათვალისწინებულია** მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია 2026 წლის ერთჯერადი ფინანსური დახმარებაზე დაგეგმილი 1 000 000 ლარი გაიზარდოს **100 000** ლარით განისაზღვროს 1 100 000 ლარით.
2	სასმელი წყლით უზრუნველყოფა გაიზარდოს 100 000 ლარით	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** სასმელი წყლის ქვეპროგრამით დაგეგმილი 220 000 ლარი შესაძლებელია გაიზარდოს **50 000** ლარით და განისაზღვრის 270 000 ლარით, შემდეგი მატება განხორციელდება მომავალ წელს.
	საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია	
1	ახალშობილთა ოჯახების დახმარების გაზრდა	**გათვალისწინებულია** ახალშობილთა ოჯახების დასახმარებლად გამოყოფილი 25 000 ლარის გაზრდა შესაძლებელია **10 000** ლარით. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოიმატებს ახალშობილთა რაოდენობა შესაბამისად გაიზრდება მისი დაფინანსება. ამ ეტაპზე ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 35 000 ლარით. შესაბამისად შესაცვლელი იქნება აღნიშნული დახმარების გაცემის წესი.
2	უფასო სასადილოს პროგრამაში მოწყვლად ჯგუფებზე საკვები პროდუქტების მიწოდების მიზნით პროგრამის დაფინანსების 10 000 ლარით გაზრდა. ერთჯერადი პაკეტის ღირებულება განისაზღვროს ოჯახის წევრთა რაოდენობით (ერთწევრიან ოჯახს 50 ლარი; ორწევრიან ოჯახს 60 ლარი; სამწევრიან ოჯახს 70 ლარი)	**გათვალისწინებულია** ა(ა)იპ სათნოების სახლის დაფინანსება 327 300 ლარი გაიზარდოს **10 000** ლარით და განისაზღვროს 337 300 ლარით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია		
1	სანაგვე კონტეინერების შესაძენად 50 000 ლარის გამოყოფა	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** ნაგვის კონტეინერების შესაძენად ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს 30 000 ლარი, ამ ეტაპზე შესაძლებელია კონტეინერების შეძენაზე დამატებით 20 000 ლარის გამოყოფა და გახდება 50 000 ლარი. სულ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამით გამოყოფილი 2 564 500 ლარი იზრდება **20 000** ლარით და განისაზღვრება 2 584 500 ლარი.
2	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის თანხას დაემატოს 50 000 ლარი	**გათვალისწინებულია** მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია 2026 წელს აღნიშნულ პროგრამის ბიუჯეტი 150 000 ლარი გაიზარდოს 50 000 ლარით და განისაზღვროს 200 000 ლარი.
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია		
1	მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდებების ამსახველი აბრების განთავსება-მოწყობის მიზნით 20 000 ლარის გამოყოფა	**გათვალისწინებულია** საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების ბიუჯეტი 45 000 ლარი გაიზარდოს **15 000** ლარით და განისაზღვროს 60 000 ლარით.
2	მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის გაზრდა 160 000 ლარამდე	**გათვალისწინებულია** მერიას მიზაშეწონილად მიაჩნია მუნიციპალიტეტის 2026 წლის სარეზერვო ფონდი 120 000 ლარი გაიზარდოს **40 000** ლარით და განისაზღვროს 160 000 ლარით.
საკრებულოს განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია		
1	სპორტის განვითარების მიზნით მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალი სპორტული სექციების გასახსნელად გამოიყოს სახსრები	**გათვალისწინებულია** 2026 წლის ბიუჯეტით სპორტის სფეროს განვითარების მიზნით არის საკმარისი რესურსები ახალი სპორტული სექციების გასახსნელად. განხილული იქნება თითოეული საჭიროება დასაბუთების საფუძველზე.
2	კულტურის განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული წრეებისათვის ინსტრუმენტებისა და ფორმების შესაძენად გამოიყოს 5 000 ლარი	**გათვალისწინებულია** შესაძლებელია ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ფორმების შესაძენად დამატებით გამოეყოს 5 000 ლარი
3	2026 წლის ბიუჯეტში, ოქროსდა ვერცხლის მფლობელი კურსდამთარებულების ერთჯერადად წახალისების მიზნით განისაზღვროს დაფინანსება 20 000 ლარით.	**გათვალისწინებულია** ოქროსდა ვერცხლის მფლობელი კურსდამთარებულების ერთჯერადად წახალისების მიზნით 2026 წლის ახალგაზრდობის მხარდამჭერი პროგრამით გამოყოფილი 34 000 ლარი გაიზარდოს **15 000** ლარით და განისაზღვროს 49 000 ლარით. ამასთან უნდა მომზადდეს აღნიშნული პროგრამით წახალისების გაცემის წესი.
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“		

1	სანიაღვრე სისტემის მოსაწესრიგებლად დამატებით იქნას გამოყოფილი 50 000 ლარი, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გარემოს შექმნას და მოსალოდნელი სტიქიების პრევენციას	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** 2026 წლის ბიუჯეტის პირველი ვარიანტით სანიაღვრე არხების მოწყობაზე გათვალისწინებული იყო 150 000 ლარი, ბოლო დროს მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიების პრევენციის მიზნით მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გაიზარდოს **20 000** ლარით და განისაზღვროს 170 000 ლარი.
2	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის დამატებით გამოყოფილი იქნას 50 000 ლარი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად	**გათვალისწინებულია** მერიას ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის 2026 წელს დაგეგმილი 150 000 ლარი გაიზარდოს **50 000** ლარით და განისაზღვროს 200 000 ლარი.
3	მარტოხელა და ხელმოკლე ოჯახებისათვის ასაწყობი სენდვიჩ-პანელების შესაძენად დამატებით გამოიყოს 60 000 ლარი მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.	**გათვალისწინებულია** საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად დამატებით გამოყოფილი იქნას **50 000** ლარი და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გამოყოფილი 200 000 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 250 000 ლარით.
4	გამოიყოს სახსრები მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გამართული საქმიანობისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციულ შენობაში საკონფერენციო დარბაზის რეაბილიტაციის მიზნით.	**გათვალისწინებული იქნება სრულად** 2026 წლის ბიუჯეტში გაგრძელდება ადმინისტრაციული შენობის საკონფერენციო დარბაზის და სველი წერტილების მოწყობის ხარჯების დაფინანსება,
5	გამოიყოს სახსრები ადმინისტრაციული შენობის გაზიფიცირების საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.	**გათვალისწინებულია** **ადმინისტრაციული შენობის გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოებისათვის სავარაუდო ღირებულება უკვე გამოყოფილი და გათვალიწინებულია საკრებულოსა და მერიის ბიუჯეტების არაფინანსური აქტივების მუხლით.**
საკრებულოს ფრაქცია „ხალის ძალა“		
1	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი სახსრები გაიზარდოს 50 000 ლარით	**გათვალისწინებულია** აღნიშნული პროგრამის გაზრდას 50 000 ლარით ასევე ითხოვდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია და ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ . მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია 2026 წელს აღნიშნულ პროგრამის ბიუჯეტი 150 000 ლარი გაიზარდოს 50 000 ლარით და განისაზღვროს 200 000 ლარი.
2	მოწესრიგდეს ისტორიული მუზეუმის გარე ფასადები	**გათვალისწინებულია** მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად და საჭიროდ მიაჩნია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის შენობის გარე ფასადის მოწესრიგება. აღნიშნული საკითხის გამარტივებული წესით მოგვარების მიზნით ა(ა)იპ კულტურის, ხელოვნების და შიდა ტურიზმის ცენტრს დამატებით კიდევ გამოეყოს 20 000 ლარი, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის რეკომენდაციით ასევე გამოეყო 5 000 ლარი, საბოლოოდ

		კუტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის 2026 წლის ბიუჯეტი 1800 000 ლარი გაიზარდოს **25 000** ლარით და განისაზღვროს 1 825 000 ლარით.
საკრებულოს წევრი ,პარტია ,,ძლიერი საქართველო-ლელო"- ს წარმომადგენელი		
	მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პირველკლასელთა კვების უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებაზე წინადადების განხილვის შესახებ, კერძოდ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დაწყებით კლასებში 550 მოსწავლისათვის კვებაზე დღეში 6 ლარის გამოყოფა, რომელიც ჯამში 180 სასწავლო დღეში ანუ ერთ საბიუჯეტო წლისათვის 594 000 ათასი ლარის გათვალისწინება (550*6*180)	აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა -განხილვა წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უფლებამოსილებას. ამასთანავე, თემა პირდაპირ კავშირშია ინფრასტრუქტურასთან და სპეციფიკურია. ჩვენი შეფასებით, სასკოლო ინფრასტრუქტურა ამ კომპონენტის განსახორციელებლად მზად არ არის, ვინაიდან სკოლების უმრავლესობაში კვების ობიექტების ინფრასტრუქტურა არ არის და ვერ იქნება დაცული უსაფრთხოების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
	სულ	სულ საკრებულოდან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით დამატებით საჭირო 405 000 ლარის დაფინანსების წყაროდ გამოყენებული იქნას 2026 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობებიდან კერძოდ დღგ-დან დამატებით დაგეგმილი 86 400 ლარი, რომელიც გამოწვეულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მესამე წარდგენის საფუძველზე გაზრდილი პარამეტრების საფუძველზე. ხოლო დარჩენილი 318 860 ლარის ხარჯები დაფინანსდეს 2026 წლის პირველი იანვრისათვის მოსალოდნელი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთის ხარჯზე.